თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
დ. აღმაშენებლის ხეივანი XII კმ. N6

საქმე 3/3924-11
27.07.2012 წელი

ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი მაჭავარიანის (არაგვის) ქ#4

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 25.07.2012 წლის გადაწყვეტილება.

დანართი: **„ 8"** ფურცელი.

ირმა კვაჭაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლის თანაშემწე

საქმე # 3/3924-11წ

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

25.07.2012 ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო ონიანი
სხდომის მდივანი ნინო ნიკოლაიშვილი

მოსარჩელე: ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
წარმომადგენელი: გიორგი კლდიაშვილი, კონსტანტინე ჯაბჯღავა

მოპასუხე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
წარმომადგენელი: სოფიო ცისკარიშვილი

დავის საგანი: ქმედების განხორციელება - ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1 მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

2. მოპასუხის პოზიცია:

2.1. მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას და ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე,

3. ფაქტობრივი გარემოებები
3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 2

მაისის #20110517 წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: განცხადების მიღების მომენტისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, თანამდებობის პირთა ვინაობა /სახელი და გვარი/ და თანამდებობის სახელწოდება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში /სამი თვე/ განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი /სია/; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველი კვარტალში /სამი თვე/ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

3.1.2. ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 2 მაისის #20110518 წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფრომაცია); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო, ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მათ შორის საწვავის ტიპი) 2011 წლის პირველი კვარტალის (სამი თვე) განმავლობაში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2011 წლის პირველი კვარტალის (სამი თვე) განმავლობაში;

3.1.3. ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 2 მაისის #20110519 წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: განცხადების მიღების მომენტისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტი ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი);

3.1.4. ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 2 მაისის #20110520 წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხევვაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ იფნრომაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

3.1.5 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 8 ივნისს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

3.1.6 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 2 მაისს გაგზავნილი წერილების პასუხად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის 15 მაისის #8/557 წერილი, რომლითაც ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს გაეგზავნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. საქართველო თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირების ჩამონათვალი შესაბამისი მონაცემების მითითებით მოცემულია სამინისტროს შემდეგ მისამართზე. www.mod.gov.ge

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტზე www.spa.ge

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს მოძრავი ქონების პრივატიზება. ამ სახის ქონების პრივატიზება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში არ განხორციელებულა.

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის „ოფიციალური დოკუმენტი(მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია". აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად , საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის ვალდებული დაიანგარიშოს, გაანალიზოს და დაამუშავოს მონაცემები, თქვენი მოთხოვნების შესაბამისად (მათ შორის ჩატარებულ ღონისძიებებზე და ცენტრალური აპარატის მიხედვით გაწეულ ხარჯებზე).

5. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ცნობები მოცემულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის #42 ბრძანებულებაში. ამ ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის" შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებაა:

ა) 2.1.6 ქვეპუნქტი - კრებსითი მონაცემები სამხედრო ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების, სამხედრო დაწესებულებების, შტატების, სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, პოლიგონების, ბაზების, საწყობების, სამშენებლო მოედნებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დისლოკაციის შესახებ; აგრეთვე მონაცემები დროებითი დისლოკაციის ადგილების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

ბ) 2.3.4. ქვეპუნქტი - ცნობები სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, სამხედრო ქალაქების, ყაზარმების და სხვა ობიექტების (მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების) მშენებლობისა და სამხედრო მიზნებისათვის სამოქალაქო ობიექტების გამოყენების შესახებ; აგრეთვე მონაცემები აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ.

გ) 2.3.12. ქვეპუნქტი - ცნობები ჯარების ორგანიზაციის, საბრძოლო და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის (გარდა პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის კანონით

დამტკიცებული ზღვრული ოდენობისა), იარაღის, სამხედრო ტექნიკის , ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებათა ოდენობის, ჯარების დაკომპლექტების უზრუნველყოფისა და დაკომპლექტების წესის შესახებ.
დამატებით, წერილის თანახმად, წარმოდგენილი შესაბამისი მოთხოვნები ეწინააღმდეგება მითითებულ ნორმებს, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში ფაქტობრივი ხარჯების გაანალიზების შემთხვევაში შესაძლებელია გამოითვალოს საიდუმლო ცნობებს მიკუთვნებული ზოგიერთი პარამეტრის დაახლოებითი მაჩვენებლები. ამდენად, შეუძლებლად იქნა მიჩნეული აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3.1.7 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 ივლისის #3/3924-11 საოქმო განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში, დავის საგნის არარსებობის გამო.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

მტკიცებულებები, რომელთაც დაეყრდნო სასამართლო ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას:

პუქტი 3.1.1 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 2 მაისის #20110517 წერილი - ს.ფ 27-28;

პუქტი 3.1.2 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 2 მაისის #20110518 წერილი - ს.ფ 29-30;

პუქტი 3.1.3 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 2 მაისის #20110519 წერილი - ს.ფ 31-32;

პუქტი 3.1.4 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 2 მაისის #20110520 წერილი - ს.ფ 33-34;

პუქტი 3.1.5 ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2011 წლის 8 ივნისის ადმინისტრაციული საჩივარი - ს.ფ 14-23

პუქტი 3.1.6 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 ივლისის #3/3924-11 საოქმო განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა მტკიცებულებები და ურთიერთშეაჯერა დადგენილი ფაქტობივი გარემოებები მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

7 სამართლებრივი შეფასება

7.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას.

7.2. ამავე კოდექსის 33[1]-ე მუხლის შესაბამისად თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება.

7.3 სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი პირობა კუმულატიურია: 1. უარი ქმედების განხორციელებაზე უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო; 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ერთ-ერთი ამ ელემენტის არარსებობისას სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხება.

7.4 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ" ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

7.5 განსახილველ დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის უკანონო მოქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა, რაც დაზარალებულ პირს უფლებას აძლევს მოითხოვოს მისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ასეთი უფლება პირს წარმოეშობა კოდექსის 47-ე მუხლით მითითებული ისეთი გარემოებების არსებობისას, როგორებიცაა: „ა) საჯარო

ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას; ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის; გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას; დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ ამ კოდექსის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას".

7.6 თითოეული ზემოთმითითებული გარემოება შეიძლება გახდეს ქონებრივი და არაქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო დაწესებულების ან მისი თანამშრომლის მოქმედება პირდაპირ და მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან. ქონებრივ ზიანში შეიძლება გაერთიანდეს გაწეული მატერიალური ხარჯები და მიუღებელი შემოსავალი. არაქონებრივი ზიანი დაკავშირებულია სუბიექტის პიროვნებასთან, მის სახელთან, პატივსა და ღირსებასთან, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და საქმიან რეპუტაციასთან, რომელთა ხელყოფაც ხდება საჯარო დაწესებულების უკანონო მოქმედებით.

საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს და დაამტკიცოს მის მიერ კანონის მოთხოვნების დაურღვევლობა და მოსარჩელისათვის ზიანის მიუყენებლობა.

7.7 აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის 15 მაისის #8/557 წერილით გაეგზავნა მოთხოვილი ინფორმაცია, რაც მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა.

7.8 სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანო (საინფორმაციო რეესტრის სუბიექტი) ვალდებულია - შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.

7.9 ამდენად, თუ საჯარო დაწესებულებას დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მზა სახით არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრება 2 პირობა, როდესაც დაწესებულება ვალდებულია - დაამუშავოს ინფორმაცია: ა) შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით; ბ) ინფორმაცია (მონაცემები) სისტემატიზდება მათი ტრანსლოგ, მექანიკური თავმოყრით, რაც არ უნდა იწვევდეს მათი ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტის შექმნას.

7.10. სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა უკვე უზრუნველყოფილია.
სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო

ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ ეთქვა უარი და ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანის დადგომა. არც ერთი მითითებული კომპონენტი სახეზე არ არის: მოთხოვნილი ინფორმაცია გაცემულია, ამასთან - არ დგინდება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის არსებობის ფაქტიც, რის გამოც 1.1 სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

8. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვინაიდან სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელის მიერ 2011 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, მე-2, 24-ე, 33-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-244-ე, 247-249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

2. მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით დარჩეს უცვლელი.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის #7ა) სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6) მეშვეობით.

მოსამართლე: ნინო ონიანი